შ.პ.ს. „ჰიდროგეოპროექტი“ - L.T.D.
„HIDROGEOPROJECT“

205175415

№18-1/24 „04“ივლისი 2024წ.

საექსპერტო დასკვნა ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა №17- ში არსებულ მიწის ნკვეთზე (ს/კ№01.72.14.035.310) დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილისათვის.

ექსპერტიზისათვის გადმოცემულია ქალაქ თბილისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე, ინდივიდუალური საცხოვრებელი შენობის კორექტირებული პროექტი.

გადმოცემულია შემდეგი მასალა:

- პროექტის არქიტექტურული ნაწილი, დამუშავებული ელექტრონული სახაზავი პროგრამა ”ArchiCAD”-ის გამოყენებით. ელექტრონული ვერსია.

-პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, დამუშავებული შ.პ.ს. ”მონოლითი +“-ს მიერ ელექტრონული სახაზავი პროგრამა ”AutoCAD”-ის გამოყენებით, ელექტრონული და pdf ვერსიები.

კონსტრუქციების აღწერა.

საპროექტო ობიექტი მოშენების თვალსაზრისით გეგმაში ორი მართკუთხა მოხაზულობის ნაწილის ერთობლიობაა.

პირველი ნაწილი: განთავსებულია ღერძებში „გ“-„დ“; „1“-„5“ღერძებს შორის. იგი ორ სართულიანია, განთავსებულია ნიშნულებში (-3.1)-(0.00მ.); (0.00)- (+3.9მ.); პირველი ნაწილი კონსტრუქციულად მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვანია, სართულშუა გადახურვის წიბოვანი (რიგელოვანი) ფილებით. წიბოები ცალ მხარეს ხისტად არის დაკავშირებული „დ“ ღერძზე მდებარე სვეტებთან, ხოლო მეორე მხარეს თავისუფლად არის დაყრდნობილი „გ“ ღერძზე არსებულ ძირითადი შენობის სვეტების კონსოლურ ნაშვერებზე.

ამგვარად მიიღება სახსროვანი კონსტრუქცია, რომელიც ძირითადი შენობის სვეტებს მღუნავ მომენტებს არ გადასცემს. პირველი ნაწილის სვეტების განაწილება გეგმაში ასეთია:

“დ” ღერძის გასწვრივ „1“ ÷“5“ ღერძებს შორის

22.55მ

“გ”-„დ“ ღერძებს შორის,

7.8მ.

მეორე (ძირითადი) ნაწილი: განთავსებულია ღერძებში „ა“÷„გ“; „1′ “-„5“ღერძებს შორის. იგი რვა სართულიანია (შვიდი მიწის ზედა და ერთი მიწის ქვეშა). კონსტრუქციულად მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშიროვანი. კავშირებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმები.

ერთი მიწისქვეშა სართული, განთავსებული ნიშნულებში (-3.1)-(*0,00*მ). სართულის სიმაღლე *310*სმ

პირველი სართული, განთავსებულია ნიშნულები (*0,00*) (+3.9). სართულის სიმაღლე *390*სმ.

მეორედან *მერვე სართულების ჩათვლით*, გადახურვის ფილის ნიშნულებია (+3.9)÷ (+*23,70*). სართულების სიმაღლე 315სმ.

შენობის ±0,*00*მ. ნიშნული შეესაბამება გეოდეზიურ ნიშნულს 455.15მ. ჩარჩოს სვეტების განივი კვეთებია b×h=50×50სმ. b×h=40×40სმ. bxh=40x60სმ. სართულშუა გადახურვის წიბოვანი ფილებისათვის სისქე შეადგენს 20სმ.-ს. ძირითადი წიბოების რიგელების განივი კვეთებია b×h=40×60სმ. b×h=40×50სმ. bxh=20x60სმ

შენობა გაანგარიშებულია ავტომატური საანგარიშო კომპლექსის “Лира-SAPR2013. R3”-ის საშუალებით, ფუძისა და ზედნაშენის (შენობის) ერთობლივი მუშაობის გათვალისწინებით. გაანგარიშების შედეგები ინახება შ.პ.ს. „მონოლითი +“-ს არქივში. ქვემოთ მოცემულია გაანგარიშების შედეგები

პროექტი შედგენილია დღეისათვის მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების საფუძველზე.

დასკვნა:

კორექტირებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით განხორციელებულ კონსტრუქციულ დოკუმენტაციაში შეტანილი ცვლილებები (კორექტირება) უარყოფითად არ აისახება შენობის მუშაობის ხასიათზე, რაც საკმარისია პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ვარიანტისათვის რეკომენდაციის მისაცემად.

შ.პ.ს. ”ჰიდროპროექტი”-ს /ნ. ქიქავა/

დირექტორი